



რეგ: 2349322

23.05.2022

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიას

როგორც სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ 2021 წლის 2 ივლისის #2327165 წერილით გეცნობათ, დღეის მდგომარეობით, დაბა ბაკურიანში ინტენსიურად მიმდინარეობს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პროექტების განხორციელება. აღნიშნულიდან გამომდინარე, როგორც არსებული ინფრასტრუქტურის უფრო ინტენსიურად გამოყენებამ, ასევე ახალმა მშენებლობებმა ელექტროენერჯის მოხმარების მკვეთრი ზრდა განაპირობა, რამაც დღის წესრიგში დააყენა ქსელის დაუყოვნებლივ რეკონსტრუქციის და განვითარების აუცილებლობა. კერძოდ, 2017 წლის პიკური დატვირთვა 6,3 მეგავატს შეადგენდა, რაც 2018 წელს 6.8 მეგავატამდე, ხოლო 2019 წლის იანვარში 8,4 მეგავატამდე გაიზარდა, რაც 33% ზე მეტ ზრდას წარმოადგენს. 2021 წლის იანვრისათვის არსებული ახალი მომხმარებლების მიერთებების გათვალისწინებით პიკური დატვირთვა 11 მეგავატს გადააჭარბებდა, რაც ფაქტიურად არ მოხდა „კოვიდ 19“ პანდემიით გამოწვეული პრობლემების გამო. აღნიშნული ზრდის ტემპისა და მიერთებული მომხმარებლების სიმძლავრეების გათვალისწინებით, 2022–2023 წლის ზამთრის სეზონზე დატვირთვა სავარაუდოდ 16–17 მეგავატს გადააჭარბებს. ამგვარი მოხმარებები კი არსებული ინფრასტრუქტურით ფიზიკურად ვერ დაკმაყოფილდება, რის შესახებაც არაერთგზის იქნა ინფორმაცია მოწოდებული ჩვენს წერილობით მომართვებსა და განხილვების დროს.

როგორც ასევე გეცნობათ, იმისთვის რომ განხორციელდეს დაბა ბაკურიანის საიმედო ელექტრომომარაგება (გაზრდილი მოხმარებისა და ახალი სიმძლავრეების გათვალისწინებით), 2018 წელს დაიგეგმა ელექტროგადამცემი ხაზების „ცემი - 1“-ის, „ცემი -2“-ის და „ცემი -3“-ის სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელება, რაც ელექტროგადამცემი ხაზის გამტარუნარიანობას 25 მეგავატამდე გაზრდის. ელექტროგადამცემი ხაზი „ცემი-1“-ის რეაბილიტაციის ფარგლებში შემუშავებული პროექტი 2018 წლის 30 ივლისს შეთანხმდა მშენებლობის ნებართვის გამცემ ორგანოსთან. შედეგად, ელექტროგადამცემი ხაზის რეკონსტრუქციისათვის კომპანიამ გამოყო 3,6 მილიონი ლარი. მასალების შესყიდვის განხორციელების შემდეგ კი დაქირავებულ იქნა კვალიფიციური კომპანია სამუშაოების საწარმოებლად. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ხაზი წარმოადგენს კომპანიის საკუთრებას და სამუშაოები დაიწყო სათანადო ნებართვის საფუძველზე, მიმდებარე ტერიტორიაზე მიწების მფლობელი მოქალაქეების მხრიდან დაიწყო მნიშვნელოვანი წინააღმდეგობა, რომელთა მოთხოვნა გახლდათ/გახლავთ, რომ არსებული ხაზი გატანილ იქნეს მათი ან მათ მიმდებარე

ტერიტორიებიდან, ან გადახდილ იქნას კომპენსაციები მათი მიწის სრულ ფართობზე. არაერთი შეხვედრისას განმარტებული იქნა, რომ ხაზი კომპანიის საკუთრებას წარმოადგენს და კანონის შესაბამისად დაუშვებელია სარეკონსტრუქციო სამუშაოებში ხელის შეშლა, თუმცა რაიმე შედეგი მოლაპარაკებებს არ გამოუღია. მოლაპარაკებებში ჩართული გახლდათ როგორც ადგილობრივი, ასევე სამხარეო უწყებების ხელმძღვანელობა და თანამშრომლები, ასევე პოლიციაც. იმისთვის რომ პროექტის განხორციელება ჩიხში არ შესულიყო, კომპანია მაქსიმალურად ითვალისწინებდა მოსახლეობის და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლების მოთხოვნებს. გამოყენებულ იქნა ჩვენს ხელთ არსებული ყველა შესაძლებლობა საკითხის დარეგულირების მიზნით, მათ შორის: კომპანიამ გასწია დამატებითი ხარჯი და განახორციელა 35 კვ. ეგხ „ცემი 1“-ის #18-20 და #23-36 საყრდენებს შორის უბნებზე პროექტის კორექტირება. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მოსახლეობასთან წინასწარი მოლაპარაკებების საფუძველზე, პროექტის ცვლილებით შესაძლებელი გახდა 79 მიწის ნაკვეთის გამოთავისუფლება ეგხ-საგან. გარდა ამისა, განხორციელდა არაერთი საყრდენის კერძო მესაკუთრეების ტერიტორიის შუაგულიდან კიდევ გადატანა, შენობა ნაგებობებიდან დისტანცირება, საავტომობილო გზიდან მოცილება, სასაფლაოზე განთავსებული ანძის ამორიცხვა და ა.შ. ასევე მომზადდა „ცემი 2“ და „ცემის 3“-ის ხაზის გარკვეულ მონაკვეთებზე (სადაც აღნიშნულის ტექნიკური საშუალება არსებობდა), ალტერნატიული ტრასის პროექტი. ახალი მონაკვეთები ძირითადად ცდება დასახლებულ ნაკვეთებს და აღნიშნულით გათავისუფლდა 48 ნაკვეთი. ყველა ზემოჩამოთვლილმა ცვლილებამ არსებულ ტრასაში პროექტის მნიშვნელოვანი გამკვირება გამოიწვია და გამოიწვევს პროექტის განხორციელებაში.

დამატებით გაცნობებთ, რომ დღეის მდგომარეობით, ელექტროგადამცემი ხაზი „ცემი 1“-ის ახალი ტრასის მშენებლობა დასრულებულია. აქვე აღსანიშნავია, რომ 35 კვ. „ცემი 2“-ის ახალ ტრასაზე ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მიერ ხორციელდება არსებული მიწის მფლობელებთან მოლაპარაკება, ხოლო ალტერნატიული ტრასის პროექტი დამუშავება დასრულებული იქნა, ასევე, 35 კვ. „ცემი 3“-ზე დაწყებული იქნა სამონტაჟო სამუშაოების წარმოება.

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის (შემდგომში - „კომისია“) 2021 წლის 28 ივნისის #19 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერჯის გამანაწილებელი ქსელის წესების“ (შემდგომში - „წესები“) 18-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გამანაწილებელ ქსელთან ახალი ობიექტის (ახალი ობიექტის ელექტრული ქსელის) მიერთების შესახებ განაცხადის მიღების შემთხვევაში, სისტემის ოპერატორი კისრულობს ვალდებულებას, გამანაწილებელ ქსელთან ახალი მიერთების მსურველს (განმცხადებელს) გაუწიოს მომსახურება და უზრუნველყოს იგი მის კუთვნილ ტერიტორიამდე ელექტროენერჯით მომარაგებისათვის საჭირო მომსახურებითა და საშუალებებით (სრული ტექნოლოგიური ციკლით) წესებისა და მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული პირობების დაცვით, ხოლო ამავე წესების დანართით #2 განსაზღვრულია ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების ვადა, მიერთების საფასურის შეთავაზებული პაკეტის მიხედვით.

მიუხედავად აღნიშნულისა, წესების 18-ე მუხლის მე-13 პუნქტის მიხედვით, სისტემის ოპერატორი უფლებამოსილია, მიმართოს კომისიას ახალი ობიექტის გამანაწილებელ ქსელთან მიერთების უზრუნველყოფის პერიოდის - ვადის გაზრდის მოთხოვნით, თუ არსებობს ობიექტური გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის სისტემის ოპერატორს ახალი ობიექტის მიერთების უზრუნველყოფის სამუშაოების შესრულებაში.

როგორც მოგეხსენებათ, ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 401-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას, რა დროსაც ვალდებულების შეუსრულებლობა მოვალის ბრალით არ არის გამოწვეული.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კომპანიისაგან დამოუკიდებელი მიზეზით შექმნილი პრობლემის მოგვარებამდე, კერძოთ, ელექტროგადამცემი ხაზების: „ცემი-2“-ისა და „ცემი-3“-ის სარეკონსტრუქციო/სარეაბილიტაციო სამუშაოების საბოლოო დასრულებამდე, მოგმართავთ თხოვნით, მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება და გაზარდოთ დაბა ბაკურიანში გამანაწილებელ ქსელზე ახალი მომხმარებლების მიერთებებისა და სიმძლავრის გაზრდის უზრუნველყოფის სამუშაოების დასრულებისთვის განსაზღვრული ვადები.

ამასთანავე, მოგახსენებთ, რაოდენობიდან გამომდინარე ფიზიკურად შეუძლებელია განმცხადებლებთან წერილის მატერიალური ფორმით დაგზავნა, შესაბამისად, კომპანია უზრუნველყოფს მოკლე ტექსტური შეტყობინებებისა და შესაბამისი ლინკის (სადაც შესაძლებელია წერილის ელ. ვერსიის ნახვა) მეშვეობით სათანადო ინფორმაციის მიწოდებას.

დანართი: 1 „Excell” ფაილი.

პატივისცემით,

ილია მათიაშვილი

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენელი